



DEUTSCHE  
WIRTSCHAFTS  
VEREINIGUNG

გერმანიის  
ეკონომიკური  
ბაიროთიანება

## DWV-ს ბიზნეს ბიულეტენი

აპრილი 2020

### გამოგვევით სოციალურ მედიაში



[facebook.com/dwv.ge](https://facebook.com/dwv.ge)



[linkedin.com/company/dwvge](https://linkedin.com/company/dwvge)

### ბიზნეს მოთხოვნები საქართველოდან

თუ დაინტერესებული ხართ გერმანული პარტნიორის მოძიებით, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი მოთხოვნა თქვენთვის სასურველ პროდუქციაზე ინგლისურ ან გერმანულ ენაზე და თან დაურთოთ დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია. დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: [zaira.soloeva@dwv.ge](mailto:zaira.soloeva@dwv.ge)

### ექსპორტ-იმპორტის დაფინანსება

#### კომერციული დაფინანსება გერმანული კომპანია DFT Deutsche Finetrading AG-სგან

გერმანული კომპანია DFT Deutsche Finetrading AG გთავაზობთ არასაბანკო დაფინანსების ახალ მოდელს, რომელიც საშუალებას გაძლევთ მიიღოთ **ზანკებისგან დამოუკიდებელი დაფინანსება** განსხვავებული პირობებით როგორცაა მუდმივი საკრედიტო ხაზი, ნაწილობრივი დაფინანსება, ერთჯერადი კრედიტი და სხვა. დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ: [zaira.soloeva@dwv.ge](mailto:zaira.soloeva@dwv.ge)

#### DEG ბანკი აფინანსებს ექსპორტს გერმანიიდან საქართველოში

გერმანული ინვესტიციისა და განვითარების საზოგადოება (DEG, [www.deginvest.de](http://www.deginvest.de)) 50 წელზე მეტია აფინანსებს ექსპორტსა და ინვესტიციებს გერმანიიდან საქართველოსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში.

იმ შემთხვევაში თუ საქმე ეხება გერმანულ პროდუქტს. DEG ბანკი იძლევა გრძელვადიან კაპიტალს ბაზარზე არსებული პირობებით და კონსულტაციას უწევს კომპანიებს პროექტის ყველა ფაზაში. DEG აფინანსებს ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, აგრარულ, ინდუსტრიულ და საფინანსო სექტორში. დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდით: [info@dwv.ge](mailto:info@dwv.ge)

#### ზოგადი ინფორმაცია გერმანიაში პროდუქციის იმპორტის შესახებ

გერმანიის ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან რეგულირდება საგარეო ვაჭრობის აქტით, საგარეო ვაჭრობის რეგულაციით, ევროპის საბჭოსა და კომისიის ლეგალური აქტებით. განსხვავებები დამოკიდებულია პროდუქციის სახეობაზე და ვაჭრობაზე სხვა ევროკავშირის ქვეყნებთან (შიდა ბაზარი) და მესამე ქვეყნებთან. მესამე ქვეყნებიდან საქონლის იმპორტის დროს, მნიშვნელოვანია სატარიფო და არასატარიფო შეზღუდვები:

- იმპორტის სატარიფო შეზღუდვები გამომდინარეობს საბაჟო (კანონმდებლობიდან) და მოიცავს საბაჟო გადასახადს იმპორტირებულ საქონელზე.
- არასატარიფო შეზღუდვები შეიძლება გამომდინარეობდეს საგარეო ვაჭრობის კანონიდან ან სხვა ლეგალური წყაროებიდან.


იმპორტის შეზღუდვების საგარეო ვაჭრობის კანონი მოიცავს აკრძალვებს (მაგ. ემბარგო), ავტორიზაციის მოთხოვნას (მაგ. იმპორტის ავტორიზაციის მოთხოვნა გარკვეულ ტექსტილზე) და მონიტორინგის ზომებს (მაგ. დოკუმენტების მონიტორინგი რკინისა და ფოლადის პროდუქციის იმპორტის დროს).

საქონელი, რომელიც საგარეო ვაჭრობის კანონის მიხედვით ექვემდებარება ავტორიზაციას და მონიტორინგს, ასევე გარკვეულ პროცედურულ მოთხოვნებს, ჩამოთვლილია იმპორტის სიაში. ეს სია ინტეგრირებულია ელექტრონული საბაჟო ტარიფების სისტემაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: <http://trade.ec.europa.eu/tradehelp/>

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: [info@dwv.ge](mailto:info@dwv.ge), ვებ-გვერდი: [www.dwv.ge](http://www.dwv.ge)  
Facebook: [facebook.com/dwv.ge](https://facebook.com/dwv.ge), LinkedIn: [linkedin.com/company/dwvge](https://linkedin.com/company/dwvge)

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •





DEUTSCHE  
WIRTSCHAFTS  
VEREINIGUNG

გერმანიის  
ეკონომიკური  
ბაიერთიანება

**ევროკომისიის ექსპორტის საკითხებში დახმარების პროგრამის ახალი ვერსია განვითარებადი ქვეყნებისთვის (Trade Helpdesk)**

ევროკომისიამ ექსპორტის საკითხებში დახმარების ახალი ვერსია შეიმუშავა. ეს უფასო ონლაინ მომსახურება ძალიან მარტივად ხსნის განვითარებადი ქვეყნებისათვის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შესაძლებლობებს. მხოლოდ რამდენიმე ღილაკზე დაჭერით, თქვენთვის ხელმისაწვდომი ხდება ინფორმაცია სხვადასხვა პროდუქტზე ევროკავშირის მოთხოვნილებების, გადასახადების, ტარიფების, შეღავათების, წესებისა და სტატისტიკის შესახებ. იხილეთ დამატებითი ინფორმაცია: [EU Neighbourhood Info](#)

**დაგეგმილი ღონისძიებები**

**DWV Webinar ანტიკრიზისული გეგმა: როგორ დავიცვათ ბიზნესი კრიზისულ გარემოში?**



14 მაისს DWV და [C-team management consulting](#) გიწვევთ ერთობლივ ერთდღიან ვებინარზე ანტიკრიზისული გეგმა: როგორ

დავიცვათ ბიზნესი კრიზისულ გარემოში?

ტრენერები:

C-Team-ის ხელმძღვანელი, დავით ქარდავა, რომელმაც უმაღლესი განათლება გერმანიაში, კონტროლინგისა და ფინანსური მენეჯმენტის განხრით მიიღო. ასევე მას აქვს პროფესიული 8 წლიანი გამოცდილება გერმანიაში ისეთ საკონსულტაციო კომპანიებში, როგორებიცაა: PwC, Rödl&Partner, con|energy Unternehmensberatung, c.con Management Beratung.

C-Team-ის პროექტების მენეჯერი, ზაქრო ებელაშვილი. უმაღლესი განათლება მიიღო პალერმოსა და დუბროვნიკის უნივერსიტეტებში. მას აქვს პროექტების მართვის მრავალწლიანი გამოცდილება, როგორც კომპანიების რესტრუქტურისა და რეორგანიზაციის, ასევე ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციასა და სამოტივაციო სისტემების შემუშავებაში. დღეს მას უკავია პროექტების მენეჯერის პოზიცია და მართავს პროექტებს

**რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: [info@dwv.ge](mailto:info@dwv.ge), ვებ-გვერდი: [www.dwv.ge](http://www.dwv.ge)  
Facebook: [facebook.com/dwv.ge](https://facebook.com/dwv.ge), LinkedIn: [linkedin.com/company/dwvge](https://linkedin.com/company/dwvge)**

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

სამშენებლო, ფარმაცევტულ, სადაზღვეო და ტურისტულ სექტორებში.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [აქ](#)  
ან დაგვიკავშირდით: [ana.siradze@dwv.ge](mailto:ana.siradze@dwv.ge)

**FBP-ს დელეგაციის ვიზიტი: სასაწყობო მეურნეობის და სატრანსპორტო სისტემების მშენებლობა და მოდერნიზაცია**



ბავარიის ეკონომიკის სამინისტროს Bayern - Fit for Partnership-ის პროექტის ფარგლებში, ქართულ კომპანიებს, 2020 წელსაც,

შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ ბიზნეს დელეგაციაში ბავარიაში, რათა გაიცნონ პოტენციური საქმიანი პარტნიორები და დაამყარონ სასურველი ბიზნეს კონტაქტები. დელეგაციის ვიზიტი დაგეგმილია 4-9 ოქტომბერს. ამჯერად, BFP-ს დელეგაციის ვიზიტის მიზან ჯგუფს წარმოადგენენ ქართული სატრანსპორტო და ლოგისტიკური სექტორის წარმომადგენლები.

პროექტის ორგანიზატორები არიან ბავარიული კომპანია, em&s GmbH, და გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV).

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

**გერმანიის ეკონომიკისა და ენერჯეტიკის სამინისტროს (BMWi) ბიზნეს დელეგაცია საქართველოში - ნარჩენების მართვა და რეციკლირება**

გერმანიის ეკონომიკისა და ენერჯეტიკის სამინისტროს (BMWi) პროექტის ფარგლებში, 7-11 დეკემბერს, Commit Project Partners-ი, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ორგანიზებას უწყევს გერმანიიდან ბიზნეს დელეგაციის ვიზიტს საქართველოში.

დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია დარგობრივი საინფორმაციო ღონისძიებები და შეხვედრები შესაბამის სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებთან. ხუთდღიანი ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ, როგორც ზოგადი, ისე დარგობრივ-სპეციფიკური ინფორმაცია მიიღონ საქართველოში არსებული პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩოების, ბაზარზე არსებული შანსების, სამომავლო თანამშრომლობის, ტექნიკური და ლოგისტიკური შესაძლებლობების,





DEUTSCHE  
WIRTSCHAFTS  
VEREINIGUNG

გერმანიის  
ეკონომიკური  
ბაიროთიანება

დამკვიდრებული პრაქტიკისა და კულტურული თავისებურებების შესახებ.

აღნიშნულ ინფორმაციას, გერმანელი ბიზნესმენები, უშუალოდ დარგის ადგილობრივი სპეციალისტებისგან და ამ სფეროში მოღვაწე პირებისგან მიიღებენ.

ვიზიტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, ქართულ კომპანიებთან კონტაქტების დამყარება სამომავლო თანამშრომლობის მიზნით და მათი ბიზნეს აქტივობის განსაზღვრა საქართველოს ბაზარზე.

დეტალური ინფორმაცია და პროგრამის პირველადი ვარიანტი იხილეთ შემდეგ [ბმულზე](#).

### DWV-ს ახალი წევრები

DWV გულითადად მიესალმება თავის ახალ წევრებს:

#### ინდივიდუალური წევრები:

##### Carsten Schwab

საგამომცემლო საქმიანობა

##### Florian Wilk

ციფრული ტექნოლოგიები

### DWV-ს წევრებისა და პარტნიორების საიხლევები და ღონისძიებები

#### ჰაიდელბერგემენტ ჯორჯიამ 15 000 PCR-ტესტი შეიძინა

**HEIDELBERGCEMENT** ჰაიდელბერგემენტ ჯორჯიამ სოციალური პასუხის-მგებლობის ფარგლებში, COVID 19-ის ვირუსთან ეფექტური ბრძოლისათვის საჭირო 110 000 ლარზე მეტი ღირებულების 15 000 PCR-ტესტი შეიძინა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს გადასცა.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: [info@dwv.ge](mailto:info@dwv.ge), ვებ-გვერდი: [www.dwv.ge](http://www.dwv.ge)  
Facebook: [facebook.com/dwv.ge](https://facebook.com/dwv.ge), LinkedIn: [linkedin.com/company/dwvge](https://linkedin.com/company/dwvge)

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

#### თიბისიმ EMEA Finance-სგან რამდენიმე ჯილდო მიიღო



გამოცემამ EMEA Finance თიბისი ზედიზედ უკვე მეცხრედ დაასახელა

საუკეთესო ბანკად საქართველოში. გარდა ამისა, EMEA Finance-სგან თიბისიმ კიდევ 2 კატეგორიაში მოიპოვა აღიარება და საქართველოში 2019 წლის საუკეთესო ბანკად დასახელდა როგორც საინვესტიციო, ისე პერსონალური საბანკო მომსახურების მიმართულებით. თიბისის შვილობილი კომპანია, თიბისი კაპიტალი კი, ფინანსურმა გამოცემამ 2019 წლის საუკეთესო საბროკერო კომპანიად აღიარა ქვეყანაში.

#### არდიმ ასაკოვან მოქალაქეებს კარანტინის პერიოდისთვის საჭირო სურსათი გადასცა



განსაკუთრებული საჭიროების მქონე მუნიციპალური მუზეუმების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული

სასახლის, ბიბლიოთეკებისა და ხელოვნების სკოლების 100 ასაკოვან თანამშრომელს, რომლებიც კორონავირუსის გავრცელების მაღალ რისკ ჯგუფში იმყოფებიან, არდიმ კარანტინის პერიოდისთვის საჭირო სურსათი გადასცა.

#### Nexia TA-მ მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად სპეციალური პროექტი შექმნა



ახალი პროექტის „ბუღალტერია მარტივად“ ფარგლებში დაბალ-ბიუჯეტთან კომპანიებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა

ემღევათ, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, მარტივად განახორციელონ სწორი ბუღალტრული აღრიცხვა; თავი დაიზღვიონ შესაძლო შეცდომებისგან; იგრძნონ მაქსიმალური დაცულობა, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ მეტი დრო დაუთმონ თავისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. პროექტში ჩართვის შემთხვევაში შესაძლებელია საერთაშორისო კლასის მომსახურების ერთი თანამშრომლის მომსახურებაზე დაბალ ფასად მიღება.





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაიროთიანება

ორიენტ ლოჯიკი Ruckus-ის ყველაზე პრივილეგი-რებული სტატუსის მფლობელი გახდა



ორიენტ ლოჯიკი საქართველოში Ruckus-ის ყველაზე პრივილეგირებული სტატუსის, Top Elite Solution

Provider-ის მფლობელი გახდა. გარდა Ruckus-ის უმაღლესი ხარისხის ტექნიკური მხარდაჭერით სარგებლობის შესაძლებლობისა, ორიენტ ლოჯიკისთვის გამოიყოფა საჭირო რესურსები მარკეტინგული აქტივობების წარმოებისათვის. კომპანია შეძლებს ყველაზე კონკურენტუნარიანი ფასების ფარგლებში.

განახორციელოს პროექტები პრემიუმ კლასის საერთაშორისო სასტუმროების სეგმენტში. Ruckus-ი ამ კუთხით მიმდინარე ორგანიზაციულ პროცესებში მაქსიმალურად ჩაერთვება.

საერთაშორისო ვებინარი Nexia TA-სგან



NEXIA TA Georgia-მ უმასპინძლა საერთაშორისო ვებინარს თემაზე „ბიზნესის გადარჩენა COVID-19-ის პირობებში“. ვებინარის

განმავლობაში, Nexia TRI-ს ევროპის, ჩრდ. ამერიკისა და აზიის წარმომადგენელმა ექსპერტებმა მონაწილეებს მისცეს რეკომენდაციები და გაუზიარეს იმ გადაწყვეტილებების შესაძლო ვარიანტები, რომლებიც დაეხმარება მათ კომპანიასა და კლიენტებთან არსებული პრობლემების მოგვარებაში.

საქართველოს ბანკი COVID 19-თან ბრძოლის პირობებში ბიზნესებს მხარდასაჭერ პლატფორმას სთავაზობს



ბანკმა ბიზნესებს შესთავაზა პლატფორმა argacherde.ge, რომელზეც მათ შეუძლიათ,

დარეგისტრირდნენ და მომხმარებელს საკუთარი პროდუქტი, თუ მომსახურება სპეციალურ ფასად შესთავაზონ. შეთავაზების გამოყენებას მომხმარებელი მას შემდეგ შეძლებს, რაც ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება და ბიზნესები კვლავ წარმატებით გააგრძელებენ საქმიანობას.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

ელემენტ კონსტრაქშენმა StopCov ფონდში 20.000 ლარი გადარიცხა



სამშენებლო კომპანია ელემენტ კონსტრაქშენმა სახელმწიფოს COVID-19-თან ბრძოლაში მხარდაჭერის მიზნით, StopCov ფონდის ანგარიშზე 20.000 ლარი გადა-

რიცხა. გარდა ამისა, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, სამშენებლო კომპანია, COVID-19-ით ინფიცირების მაღალი რისკის ჯგუფში შემავალ მოქალაქეებს აქტიურად დაეხმარება.

PwC Georgia მოხვდა The Legal 500-ის ცნობარში



PwC Georgia-ს იურიდიულმა პრაქტიკამ 2020 წელს, უკვე მეორედ, The Legal 500-ის შეფასება მიიღო. ცნობარში კომპანიამ დადებითი

შეფასება მიიღო კორპორატიულ, კომერციულ და M&A სფეროებში ისევე, როგორც დავების გადაწყვეტის დარგში.

ორიენტ ლოჯიკმა ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს მხარდასაჭერად ახალი პლატფორმა SupportIT.ge შექმნა




SupportIT.ge ორგანიზაციებს შესაძლებლობას მისცემს, ადვილად და სწრაფად მოახდინონ ტექნოლო-გიური

ტრანსფორმაცია, რაც დისტანციური სამუშაო რეჟიმის პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

ახალი პლატფორმა დაინტერესებულ კომპანიებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს ორი მიმართულებით სთავაზობს უფასო სერვისს.

პირველი მიმართულება მოიცავს საშეღავათო 3-6 თვიან უფასო ლიცენზიებსა და პროგრამებს პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან.

მეორე მიმართულება კი გულისხმობს IT პროფესიონალებისგან საკონსულტაციო მომსახურების მიღებას 5 სხვადასხვა ტექნო-ლოგიური მიმართულებით.





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაიროთიანება

SupportIT.ge ორიენტ ლოჯისტიკის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტია და ხარჯებს სრულად კომპანია აფინანსებს.

არდი ინფექციური საავადმყოფოს დაზღვეულ თანამშრომლებს და მათ ოჯახის წევრებს დაზღვევას უფასოდ გადასცემს



2020 წლის ბოლომდე, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ყველა არდში დაზღვეული ექიმი, ექთანი და ადმინისტრაციული თანამშრომელი, ოჯახის წევრებთან ერთად - 100 000 ლარამდე ღირებულების ჯანმრთელობის დაზღვევის უფასო მომსახურებით ისარგებლებენ.

Majorel Georgia-მ ახალი ინიციატივით 150-მდე სამუშაო ადგილის შენარჩუნება შეძლო



აპრილში Majorel Georgia-მ სტრატეგიული მნიშვნელობის ახალი პროექტი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლებმა დისტანციურად გაიარეს ტრენინგი, თვის ბოლოს კი სამუშაო პროცესი დაიწყო. აღნიშნული

ახალი ინიციატივით კომპანიამ შეძლო 150-მდე სამუშაო ადგილის შენარჩუნება.

ეს არის პირველი პროექტი საქართველოში, რომელიც რუსულ და ინგლისურ ენაზე კონტენტის მართვას უზრუნველყოფს. კომპანიის თანამშრომლები სოციალურ პორტალზე განთავსებულ ვიდეოებს დაამუშებენ და, საჭიროების შემთხვევაში, დაბლოკავენ.

Jorbenadze & Gatsrelia Counselors-ის ბლოგი თემაზე: COVID-19 და ახლებური მარკეტინგული აქტივობის სამართლებრივი განმარტებები



Jorbenadze & Gatsrelia Counselors-ის საინფორმაციო ფურცელი პანდემიის დროს ახლებური მარკეტინგული აქტივობის სამართლებრივი განმარტებების შესახებ იხილეთ აქ.

Gvinadze & Partners-ის საერთაშორისო აღიარება



Gvinadze & Partners LLC მოხდა The Legal 500-ის ცნობარში, სადაც კომპანია მოხსენიებულია, როგორც „კომერციული, პრაგმატული“ და „ეფექტური“, რომლის გუნდის საქმიანობა მოიცავს საინვესტიციო, შრომის და ადმინისტრაციულ სამართალთან დაკავშირებულ დავებს ისევე როგორც ინტელექტუალურ საკუთრებასთან და ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებულ სამართალ-წარმოებას. Gvinadze & Partners ასევე მუშაობს კორპორატიული და კომერციული დავების მიმართულებით.

თიბისიმ უზბეკეთში საქმიანობის დაწყების ლიცენზია მიიღო



თიბისი ბანკმა უზბეკეთის ეროვნული ბანკისგან ლიცენზია მიიღო და 2020 წლის ივნისიდან დაიწყებს საბანკო საქმიანობას უზბეკეთში.

Jorbenadze & Gatsrelia Counselors-ის ბლოგი თემაზე: COVID-19, საგანგებო მდგომარეობა და სამშენებლო-ინფრასტრუქტურული პროექტები



Jorbenadze & Gatsrelia Counselors-ის საინფორმაციო ფურცელი საგანგებო მდგომარეობის დროს სამშენებლო-ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ იხილეთ აქ.

საქართველოს ბანკის მობილბანკით სარგებლობა მობილური ინტერნეტის გარეშე შესაძლებელია



ნებისმიერი საბანკო ოპერაციის მობილბანკით შესრულება შესაძლებელია მაშინაც კი, როცა მომხმარებელს მობილურის ბალანსზე თანხა, ან ინტერნეტის მეგაბაიტები ამოეწურება.

იმისათვის, რომ მომხმარებელმა ინტერნეტის გარეშე შეძლოს მობილბანკის გამოყენება, არ არის საჭირო, რომელიმე კონკრეტული მობილური ოპერატორის აბონენტი იყოს. აღნიშნული სიახლე მოქმედებს ყველა ქსელის აბონენტებისთვის ერთდროულად.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •





DEUTSCHE  
WIRTSCHAFTS  
VEREINIGUNG

გერმანიის  
ეკონომიკური  
ბაიროთიანება

**თიბისი ხანდაზმულ თანამოქალაქებს ეხმარება**



თიბისი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე 1000-ზე მეტ ხანდაზმულს 100000

ლარის ღირებულების საკვები პროდუქტებით, მედიკამენტებითა და პირველადი მოხმარების საგნებით ეხმარება.

პროექტი #თიბისიშენთვის პროგრამის ფარგლებში, ხანდაზმულებზე მზრუნველ 14 ორგანიზაციასთან ერთად მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდება.

**Jorbenadze & Gatsrelia Counselors-ის ბლოგი თემაზე: COVID-19, საგანგებო მდგომარეობა და ევროკავშირის მიდგომები პანდემიის დასაძლევად**



Jorbenadze & Gatsrelia Counselors-ის საინფორმაციო ფურცელი პანდემიის დასაძლევად ევროკავ-შირის მიდგომების შესახებ იხილეთ [აქ](#).

**ინფორმაცია DWV-ზე**

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) წარმოადგენს იმ ფირმათა საწევრო ორგანიზაციას, რომლებიც გერმანულ- ქართულ ურთიერთობებში აქტიურად არიან ჩაბმულნი. DWV 2007 წელს დაარსდა და დღეისათვის 180-ზე მეტ წევრს ითვლის.

DWV-ს მმართველ საბჭოს თავმჯდომარე არის დოქტორი საშა ტერნესი (შპს ბლუორჩარდ ფაინანს ეს.ეი). მმართველ საბჭოს ასევე მიეკუთვნებიან დავით შენგელია (კაპაროლ ჯორჯია), გიორგი ბათლიძე (BLC იურიდიული კომპანია) მიხაელ ჰამპელი (ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია) და ანდრეას ჰაინდინგსფელდერი (შერატონ მეტეხი პალასი). გერმანიის საელჩო თბილისში DWV-ს მმართველი საბჭოს მრჩეველი წევრია. მმართველი საბჭოს საპატიო თავმჯდომარე არის გერმანელი მეწარმე, პროფ. დოქტ. კლაუს ჰიპი.

DWV-ს მიზანია ხელი შეუწყოს გერმანიასა და საქართველოს შორის სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების დამყარებას და დაიცვას გერმანული ეკონომიკის ინტერესები საქართველოში. გარდა ამისა, DWV ემსახურება გერმანულ ფირმებს და აქტიურად

ეხმარება მათ ქართულ ბაზარზე შესვლასა და დამკვიდრებაში. გერმანული ფირმების გარდა, DWV ასევე მზაად არის მოემსახუროს გერმანულენოვანი ქვეყნების ფირმებს, მაგალითად ავსტრიულსა და შვეიცარიულს. დაწვრილებითი ინფორმაცია ჩვენს შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: [www.dwv.ge](http://www.dwv.ge)

თუ გსურთ თქვენი ბიზნეს აქტივობების გაფართოვება საქართველოსა და გერმანიისა ბაზარზე, ამ მიმართულებით ჩვენ გთავაზობთ მრავალმხრივ მომსახურებას.

ჩვენი მომსახურების ჩამონათვალი:

- მისამართების მოძიება
- კონსულტაცია ბაზრის შესახებ
  - o ბაზრის კვლევა
  - o მისამართების მოძიება
  - o ბიზნეს პარტნიორის მოძიება
  - o ბიზნეს მეილინგი
- პერსონალი & ტრენინგი
  - o სემინარები/ტრენინგები
  - o პერსონალის მოძიება
- საოფისე მომსახურება
  - o დროებითი პერსონალი
  - o მთარგმნელობითი მომსახურება
  - o მედიაცია
- დელეგაციები
- მესე ფრანკფურტი
- FRUIT LOGISTICA
- სენიორ ექსპერტთა სერვისი (SES)

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

**DWV - Messe Frankfurt-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და სომხეთში**

Messe Frankfurt არის მსოფლიოს წამყვანი გამოფენების ორგანიზატორი. იგი სხვადასხვა ორგანიზაციებს გლობალური მასშტაბით შესაძლებლობას აძლევს წარადგინონ საკუთარი პროდუქცია და მომსახურება საერთაშორისო ბაზარზე. Messe Frankfurt ის ადგილია, სადაც მონაწილე კომპანიებს საშუალება ეძლევათ უშუალო კონტაქტი დაამყარონ პოტენციურ პარტნიორებთან.

DWV მხარს უჭერს Messe Frankfurt-ის ყველა გამოფენას და

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: [info@dwv.ge](mailto:info@dwv.ge), ვებ-გვერდი: [www.dwv.ge](http://www.dwv.ge)  
Facebook: [facebook.com/dwv.ge](https://facebook.com/dwv.ge), LinkedIn: [linkedin.com/company/dwvge](https://linkedin.com/company/dwvge)

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •





DEUTSCHE  
WIRTSCHAFTS  
VEREINIGUNG

გერმანიის  
ეკონომიკური  
ბაიროთიანება

ეხმარება საქართველოსა და სომხეთის მოქალაქე გამოფენის მონაწილეებსა და ვიზიტორებს გამზავრებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: [zaira.soloeva@dwv.ge](mailto:zaira.soloeva@dwv.ge)

### 2019 წლის სექტემბრიდან გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება FRUIT LOGISTICA-ს ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში

FRUIT LOGISTICA წამყვანი საერთაშორისო გამოფენაა ხილისა და ბოსტნეულის სფეროში, სადაც აღნიშნული სექტორის მთელი სპექტრი და მონათესავე დარგებია წარმოდგენილი. ის 1993 წლიდან ეწყობა მესე ბერლინის მიერ და ყოველ წელს 3.000-ზე მეტ ექსპონენტსა და 76.000-ზე მეტ ვიზიტორს მასპინძლობს, რომელთაც FRUIT LOGISTICA-ს ფარგლებში კონტაქტების დამყარების უპრეცედენტო შესაძლებლობები იზიდავთ. როგორც Fresh Produce-ს ინდუსტრიის – როგორცაა ხილი და ბოსტნეული, ყველაზე დიდი გამოფენა, FRUIT LOGISTICA მესე ბერლინის საგამოფენო ტერიტორიაზე პუბლიკას სთავაზობს მისი ყველა საქმიანობის დარგისა და ბაზრის მონაწილეების გაცნობას.

გარდა ამისა, ადგილზე განიხილება ყველა ინოვაცია, პროდუქტი და მომსახურება ვაჭრობის ნებისმიერ სფეროში. გამოფენაში მონაწილეობენ კომპანიები მწვანე ასორტიმენტის პროდუქციის მთელი ჯაჭვიდან – გლობალური მოთამაშეებიდან მცირე და საშუალო კომპანიებამდე.

DWV საშუალებას აძლევს კომპანიებს უშუალოდ მიიღონ კონსულტაცია და მხარდაჭერა. შესაბამისად, გეძლევათ შანსი მონაწილეობა მიიღოთ გამოფენებში მსოფლიოს მასშტაბით თქვენი პროდუქტისა და მომსახურებების წარმოსაჩენად, ასევე შესყიდვებისა და კოოპერაციისთვის. ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: [zaira.soloeva@dwv.ge](mailto:zaira.soloeva@dwv.ge)

### SES პროექტი საქართველოში - გერმანელი ექსპერტები ქართული კომპანიების სამსახურში

Senior Expert Service (SES) წარმოადგენს გერმანიის ინდუსტრიისა და სერვისების თანამშრომლობის ფონდის პროექტს, რომელიც გერმანელ ექსპერტებს

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: [info@dwv.ge](mailto:info@dwv.ge), ვებ-გვერდი: [www.dwv.ge](http://www.dwv.ge)  
Facebook: [facebook.com/dwv.ge](https://facebook.com/dwv.ge), LinkedIn: [linkedin.com/company/dwvge](https://linkedin.com/company/dwvge)


- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

აგზავნის სხვადასხვა კომპანიებში კონსულტაციისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ექსპერტები წარმოადგენენ გამოცდილ სპეციალისტებს მრავალწლიანი სტაჟით, რომელთაც უკვე დაასრულეს თავიანთი სამსახურებრივი მოღვაწეობა, აქვთ კარგი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები და ფლობენ უცხო ენებს. ექსპერტთა დახმარების მიღება შესაძლებელია 50 განსხვავებულ სფეროში. ისინი თავიანთ მომსახურებას სთავაზობენ მცირე და საშუალო საწარმოებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, ბიზნეს ასოციაციებსა და ისეთ მომსახურების სექტორებს, როგორც არიან სოციალური და სამედიცინო ინსტიტუტები, სკოლები და ა.შ.

ექსპერტის მომსახურება გამოიხატება კომპანიების თანამშრომელთა კონსულტირებით. იგი არ ითავსებს მენეჯერულ ფუნქციებს. ექსპერტის აყვანა შესაძლებელია 3 კვირიდან 6 თვის ვადით. ექსპერტი მუშაობს უსასყიდლოდ, თუმცა მისი საცხოვრებლის, კვებისა და ტრანსპორტირების (როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ) ხარჯებს, ასევე ადმინისტრაციულ ხარჯებს დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: [maria.bregadze@dwv.ge](mailto:maria.bregadze@dwv.ge)

### გამოვიდა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წლიური ანგარიში 2019



გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების 2019 წლის ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის საქმიანობის სრულ მიმოხილვას, აგრეთვე აქტუალურ ინფორმაციას მისი წევრების შესახებ.

პუბლიკაცია ხელმისაწვდომია გერმანულ-ქართულ ენაზე და შეგიძლიათ უფასოდ ჩამოტვირთოთ [ბმულიდან](#).

